შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2013 წლის ანგარიში

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) თავის საქმიანობას ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, უნივერსიტეტის დებულების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2013 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

წლის განმავლობაში ტარდებოდა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების, საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი.

განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი.

გაკეთდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, სწავლების შემდეგ საფეხურზე ჩარიცხულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებლების ანალიზი.

გადამოწმდა უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა.

გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა. ამ უკანასკნელთან მიმართებაში შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი.

ჩატარდა სასწავლო პროცესის, კვლევით საქმიანობაში ჩართულობის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების, სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის და სხვ. კვლევის მიზნით სტუდენტების ინტერვიუირება.

გაიმართა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მათი საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი აქტივობის ანალიზის დროს შეფასდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომები, კონფერენციებში მონაწილეობა, ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინტერვიუირების შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა შემდგომი განვითარებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

წლის განმავლობაში პერიოდულად ტარდებოდა საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა უნივერსიტეტის ავტორიზაციის ყოველწლიური თვითშეფასების წლიური ანგარიში. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებდნენ სტრუქტურული ერთეულები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა 2013 წელს გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში უნივერსიტეტში მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარების პროცედურებში.

2013 წელს სააკრედიტაციოდ მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა:

- ✓ სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“

2013 წელს აკრედიტაცია მიიღო შემდეგმა საგანმანათლებლო პროგრამებმა:

- ✓ სადოქტორო პროგრამა „სამართალი“
- ✓ სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები“